ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ პროექტს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბერის №18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და განვმარტავთ შემდეგს:

2021 წლის ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 819,3 ათასი ლარი. მ.შ. საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი განკარგულებებით არსებულმა ნაშთმა შეადგინა 700,1 ათასი ლარი, აქედან:

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 მარტის N551 განკარგულებით ,,მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საფუძველზე 11,2 ათასი ლარი, რომელიც მიიმართება გზებისა და პროტუარების კაპიტალურეი შეკეთების ხარჯებისათვის (პროგრამული კოდი 02 01 02)

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 17 ოქტომბრის N2169 განკარგულებით 0,3 ათასი ლარი, რომელიც მიიმართება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსებისათვის (პროგრამული კოდი 02 06);

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის N 27 განკარგულებით 155,0 ათასი აქედან 97,5 ათასი ლარი მიიმართება საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოებზე (პროგრამული კოდი 04 05) ხოლო 57,5 ათასი ლარი მიიმართება განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 04 02) (მოსწავლეთა ტრანსპორტირება).

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს N1573 განკარგულებით საფუძველზე 279.1 ათასი და აღნიშნული მიიმართოს კეთილმოწყობის ღონისძიებები (ქვეპროგრამა 02 03 01) დაბა ჩოხატაურში ახალი რეკრეაციულ-დასასვენებელი სივრცის მოწყობის სამუშაოებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით 2,2 ათასი ლარი და მიიმართება გზებისა და პროტუარების კაპიტალური შეკეთების ხარჯებისათვის (პროგრამული კოდი 02 01 02)

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულებით 67,4 ათასი ლარი და გადანაწილდება დანართის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N2752 განკარგულებით 0,2 ათასი ლარი , სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 04).

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 თებერვლის N325 განკარგულებით 184,7 ათასი ლარი და მიიმართება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების (პროგრამული კოდი 02 06) ხარჯებისათვის.

მიზნობრივი ტრანსფერის ნაშთმა შეადგინა 2,9 ათასი ლარი, რომელიც მიიმართება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევისა სამსახურის ხარჯებისათვის (პროგრამული კოდი (01 01 03);

საბიუჯეტო სახსრების ნაშთმა შეადგინა 116,3 ათასი ლარი;

2021 წლის ბიუჯეტში უნდა განხორციელდება შემდეგი ცვლილებები: შემცირდება სხვა შემოსავლები (რენტა) 116,3 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა ჩანაცვლდება საბიჯეტო სახსრების თავისუფალი ნაშთით, რომელიც შეადგენს შეადგინა 116,3 ათასი ლარს.

ასევე განხორციელდება შემდეგი ცვლილებები: შემცირდება საახალწლო ღონისძიებების ხარჯი (პროგრამული კოდი 05 02 08 01) 5,0 ათასით და მიიმართება კულტურის ცენტრის ხარჯებისათვის (პროგრამული კოდი 05 02 01 02).

მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის (პროგრამული კოდი 06 00) პროგრამას დაემატება ახალი ქვეპროგრამა (06 02 10) კორონა ვირუსის (COVID 19) გავრცელების საწინააღმდეგოდ გასაწევი ღონისძიებების თანადაფინანსება, შემცირდება ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03) 20,0 ათასი ლარით და მიიმართება აღნიშნულ ქვეპროგრამაზე.

განხორციელდება მუხლობრივი ცვლილებები: შემცირდა სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის (პროგრამული კოდი 05 01 05) საქონელი და მომსახურების მუხლი 1,2 ათასით და მიიმართება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში (მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება (ბ46. 46210212). გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 08) სოციალური

უზრუნველყოფის მუხლი შემცირდება 11,6 ათასით და მიიმართა სუბსიდიის მუხლში.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებით ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" მუნიციპალიტეტს გამოეყო 664.1 ათასი ლარი, რომელიც მიიმართება შემდეგი დანიშნულებით:

გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02) 204,7 ათასი ლარი, სოფელ გორაბერეჟოულში მისასვლელი გზის რეგილიტაციის სამუსაოებისათვის 153,0 ათასი და სოფელ ზომლეთში მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის 51,7 ათასი ლარი;

საბავშვო ბაღების მშენებლობა რეაბილიტაციის სამუშაოებზე (პროგრამული კოდი 04 06) სოფელ საჭამიასერში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის და N2 ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები 117,8 ათასი ლარი;

წყლის სისტემის მოწყობა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 03) სოფელ ხიდისთავში წყლის სისტემის და სათავე ნაგებობის რეაბილიტაციის სამუშაოები 341,6 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 იანვრის N87 გაკარგულების საფუძველზე დაკორექტირდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი კერძოდ: შემოსავლების ნაწილი შემცირდება არაფინანსური აქტივების კლება 336,3 ათასი ლარით და ასევე სხვა შემოსავლები შემცირდება 663,7 ათაი ლარით.

გაიზრდება გრანტების მუხლი 730,0 ათასი ლარით, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის N168 განკარგულებით გამოყოფილი თანხა 730,0 ათასი ლარი მიიმართება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მოცულობა გახდება 10 952,2 ათასი ლარი.

პატივისცემით,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი: ირაკლი კუჭავა

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბერის №18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

დადგენილების შესახებ

დადგენილების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა" ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა. დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 იანვრის N87 და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის N168 განკარგულებებთან.

დადგენილების პროექტი, ასევე, შესაბამისობაშია ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის'' 69-ე და მე-80 მუხლებთან და ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხდება იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი : ბექა შენგელია